სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

08/04/2026

MES 0 26 0000423459

ბრძანება

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №1784171 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2026 წლის 24 მარტის №355359 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის №1784171 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ადმინისტრირების სტანდარტის:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის:

ა.ა) „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) infoscd@eqe.ge - გამოიყენება ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი მომსახურების უზრუნველსაყოფად.";

ა.ბ) „ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოაყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტა info@eqe.ge-ზე შემოსული საკითხი არ ექვემდებარება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემა e-Flow-ში რეგისტრაციას (გარდა იმ საკითხისა, რომელიც ეხება ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა info@eqe.ge-ზე შემოსულ ან/და გაგზავნილ კორესპონდენციას) და რომელზე რეაგირებაც განეკუთვნება ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურის კომპეტენციას, info@eqe.ge-ს ადმინისტრატორი უზრუნველყოფს საკითხის გადამისამართებას infoscd@eqe.ge-ზე.''.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა